№ 17

1877—1900

კვირა, 23 იანვარი, 1900 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

# ივერია

№ 17

კვირა, 23 იანვარი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ამ ნომერში ექვსი გვერდია.

კვირას, 23 იანვარს, გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

**გიორგი ექვთიმეს ძის წერეთლის**

სულის მოსახსენებლად. მეუღლე გარდაცვალებულისა შვილებითურთ აცნობებს ნათესავთ და ნაცნობთ და სთხოვენ მობრძანდნენ დიდუბის ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 9½ საათზე, პანაშვიდი 11½ საათზე. (2—2)

**ოლღა სოფრონის ასული** კარიჭაშვილისა და **დავით გიორგის ძე არიჭაშვილი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ 26 იანვარს, ოთხშაბათს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი პირველის შვილის, ხოლო მეორის გვრის

**ვლადიმერ მიხეილის ძის ლორთქიფანიძის**

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 9½ საათზედ. წირვას შემდეგ შუადღის 12 საათზე იკურთხება კუკიის სასაფლაოზედ განსვენებულის საფლავზე ძეგლი. (1—264—1)

**ლევან პეტრეს ძე და სოფიო ფორტუნატის ასული კოკოჩაშვილი, მარიამ სტეფანეს ასული ივაშკევიჩისა და პეტრე ივანეს ძე კოკოჩოვი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოდ გარდაცვალებას პირველნი დაუვიწყარის შვილის და მეორენი შვილის-შვილის

**ნ ი კ ო ლ ო ო ზ ი ს ა ს.**

გარდაცვალებულის დასაფლავება იქნება კვირას, 23 იანვარს, ნაშუადღევის 4 საათზე, ქალაქ ქუთაისში. (1—265—1)

## ქართული თეატრი

კვირას, 23 იანვარს, 1900 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან **ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I

**ბედს ვერ წაუხვალ**

დრამა 4 მოქ., თხზ. ლანგამერისა, თარგ. მ. ნასიძისა

II

**ცოლი ორის დღით**

კომედია ერთ მოქმედებად. თარგმანი ნ. ყიფიანისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი კარგარეთელი, ნებიერიძისა, აბხაზიშვილი; ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, გედევანოვი, შათირიშვილი, ადამიძე, ქელიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა (კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფებს იღებენ ექიმნი ყოველ დღე, [illegible] დღეებს გარდა.

[illegible]ობით:

**გ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**გ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს ‍და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ.

**ე. პ. გაუდელინი.** 11—12 ს. ყოველ დღე, გარდა შაბათისა შინაგანი და ბავშვების ავად.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბებთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## ექიმი

**კ. ი. გძელიშვილი**

მიიღებს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით** ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს. მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (100—31—81)

### მთავრობის განკარგულებანი

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან კავკასიის მექქვსე მსროლელთა ბატალიონის უფროსი პოლკოვნიკი სარაჯიშვილი, ამასთან ებოძა გენერალ მაიორობა.

## ახალი ამბავი

*** დღეს, 23 იანვარს, ყოვლად უსამღვდელოესი ლეონიდი, ეპისკოპოსი გორისა, წირვას შეასრულებს კალოუბნის წმ. ღვთის-მშობლის ეკლესიაში. წირვაზედ იგალობებს ქართული საეკკლესიო გუნდი, რომელიც ინახება ტფილისის ქართველთ ეკკლესიების და სამღვდელოების სახსრით და რომელსაც ჰლოტბარობს ბ-ნი ა. კავსაძე.

*** 19 იანვარს ტფილისის სამღვდელოებამ თავისს კრებაზედ დაადგინა, შეკრებილ იქმნას სხვა და სხვა ჟურნალ გაზეთებში სხვა-და-სხვა დროს დაბეჭდილი მოძღვრებანი, სიტყვანი და შესხმანი და ცალკე კრებულად გამოიცეს. ამ საქმის სისრულეში მოყვანა მიენდო მღვდელთ ა. თოთიბაძეს, კ. ცინცაძეს და ნ. მაჭარაშვილს.

*** ქალაქის საბჭოს შემდეგი მორიგი კრება ორშაბათს, 24 იანვარს, იქმნება.

*** კავკასიის საცენზურო კომიტეტის რუსულ და ევროპიულ ენების უფროს ცენზორად დანიშნული ბ-ნი უმანეცი უკვე ჩამოვიდა ტფილისში და შეუდგა თავისის თანამდებობის ასრულებას.

*** ქალაქის საბჭოსაგან მოწონებული ქალაქ ტფილისის ამა 1900 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა უკვე წარედგინა დასამტკიცებლად საგუბერნიო ადმინისტრაციას.

*** დღეს, 23 იანვარს, ნაშუადღევის პირველს საათზე, ტფილისის რეალურ სასწავლებელში გამართულ იქნება ჩვეულებრივი წლიური აქტი.

*** ტფილისში უკვე დაბრუნდა კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოების თავმჯდომარე ბ-ნი იასტრჟემსკი, რომელიც აქაურ ფარმაცევტთა წარმომადგენლად იყო მოსკოვის საზოგადო ფარმაცევტთა სხდომაზე. ბ-ნმა იასტრჟემსკიმ წარუდგინა აქაურ საზოგადოებას მოსკოვის კრებაზე დადგენილ ოქმების შინაარსი. ერთი მათგანი ფარმაცევტთა უმაღლეს სასწავლებლის დაარსებას შეეხება.

*** მაზრის ფერშლებს აქამდე არ ეძლეოდათ გზის ხარჯი, როდესაც საქმისთვის ჰგზავნიდნენ მათ. ახლა აქაურ სამკურნალო მმართველობას მოსვლია შინაგან საქმეთა მინისტრისაგან წინადადება, ფერშლებსაც მიეცეს გზის ხარჯი, როდესაც სამსახურისა გამო იგზავნებიან.

*** გარდაწყვეტილია გააფართოვონ ქალაქის საავადმყოფოს ავლაბრის განყოფილება, რადგანაც ამ საავადმყოფოს ძალიან ბევრი ავადმყოფი ეტანება.

*** რადგანაც ამ უკანასკნელად საკლავ საქონლის სიძვირეს ყასბები ხსნიდნენ იმ გარემოებით, რომ ერევნის გუბერნიაში, საიდგანაც მოჰყავთ უმთავრესად ტფილისში საკლავი საქონელი, საქონლის ჭირია გავრცელებულიო, ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ ოფიციალურად შეატყობინა ქალაქის მოურავს, რომ ერევნის გუბერნიაში მოსპობილ იქმნა საქონლის ჭირი და ნება დართულია იქიდგან საქონლის მორეკაო.

*** სადგ. განჯა. 30 დეკემბერს აქაურ რკინის გზის სასწავლებელში იყო გამართული საბავშვო საღამო. სასწავლებლის ზედამხედველის ხელმძღვანელობით მოსწავლეებმა წარმოადგინეს საყმაწვილო პიესა—„Сиротка" და მშვენივრადაც შეასრულეს თავიანთი როლები. აგრეთვე კითხულობდნენ ლექსებს მკაფიოდ, გაბედულად და გრძნობით, რითიც საზოგადოება აღტაცებაში მოჰყავდათ. იმღერეს სხვა-და-სხვა რუსული სიმღერები, ბ-ნ კალამნიკოვის ლოტბარობით, რომელიც ამავე სასწავლებელში საერო და საეკკლესიო გალობას ასწავლის. სამწუხაროდ, დარბაზი პატარა იყო და ხალხი ძალიან ბევრი. სივიწროვის გამო ხალხი უთანხმოებას აცხადებდა, მაგრამ საღამომ ისე კარგად ჩაიარა, რომ ყველაფერი უსიამოვნება დაავიწყა დამსწრე საზოგადოებას და დიდად ნასიამოვნებნი დაიშალნენ... წარმოდგენის შემდეგ თითო ყუთი ტკბილეული დაურიგდათ მოწაფეებს.

სოფ. სარო, (ახალქალაქის მაზრა). 14 იანვარს ვიდღესასწაულეთ ქართველთა განმანათლებელის წმ. ნინოს დღესასწაული. ეკკლესიაში დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. მთელი წირვის საგალობლები იგალობეს პატარა ყმაწვილებმა.

*** რედაქციამ მიიღო მე-XII №-რი „აკაკის კრებულისა". შინაარსი ამ ნომრისა: პირველი განყოფილება.—„რჩევა" (ლექსი). აკაკისა, „აკადმყოფს მკოსანი" (ლექსი) სილოვანისა, „კარგადმყოფს მკოსანს" (ლექსი) აკაკისა, „თავგანწირული ექიმი" დ. გამგამიძისა, „საქართველოს დედა-ქალაქი ტფილისი" (დასასრული) მ. ჯანაშვილისა, „ამირანი" (დრამატიული პოემა) სევასტი გაჩეჩილაძისა, „ისტორია ქართული სტამბისა და მწიგნობრობის ბეჭდვისა" ზ. ჭ—ძისა.—მეორე განყოფილება.—„ხალხური ლექსები" შეკრებილი სოსიკო მერკვილაძის მიერ, „ანდაზები" (მისივე), „ზმა" (მისივე).

*** გამოვიდა მეორე ფრანგულ ჟურნალ „La Caucase Illustré"-ს

მეორე ნომერი, რომელშიაც დაბეჭდილია შემდეგი წერილები:

ბაქო და ნავთი;

პეპო, კომედიის სუნდუკიანცისა, პირველი მოქმედება, თარგმანი;

იმერეთი და იმერლები;

„ქართველი პუბლიცისტები. თავადი ილია ჭავჭავაძე“, გარიჭაშვილისა (სურათით), „საეკლესიო არქიტექტურა კავკასიაში“ მანგლისის ტაძრის სურათი. საზოგადოდ მთელი ნომერი დასურათებულია.

*** კავკასიის საქალებო ინსტიტუტის მოსწავლე ქალთა შორის ყელის ყორყებამ იჩინა თავი.

*** როგორც ქალაქის მეორე დასის თავშესაფარის ანგარიშიდგან სჩანს, ამ თავშესაფარში წასულ 1899 წ. განმავლობაში შეუფარებია თავი 20,674 კაცს, აქედგან 19,277 მამაკაცს და 1,397 დედაკაცს.

*** განჯა. დიდის ამბით გადავიხადეთ პანაშვიდი გ. ქ. წერეთლის სულის მოსახსენებლად როგორც ქ. განჯაში მცხოვრებმა, აგრეთვე რკინის გზის სადგურ განჯაში მოსამსახურე ქართველობამ. პანაშვიდზედ ბლომად დაესწრო ხალხი, ასე რომ ტევა არ იყო ეკკლესიაში.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზების გამგეობა აცხადებს, რომ იღებს კონდუქტორებად იმ ჯარის-კაცთ, რომელთაც გაათავეს სამსახურის ვადა და ჩაერიცხნენ სათადარიგო ჯარში, თუ ამ ჯარის-კაცებმა იციან რუსული ენა და წერა-კითხვა რუსულს ენაზე.

## წერილი თელავიდგან.

წმ. ნინოს დღესასწაულ სთელავისათვის უფრო განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სხვა რომელისამე მაზრის ქალაქისათვის. ამ დღეს თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში სადღესასწაულო საბავშვო მეჯლიში იმართება ხოლმე. ამავე დღეს წირვის შემდეგ ამავე სასწავლებელში არის აქტი, რომელიც იწყება სამადლობელის პარაკლისით და თავდება სასწავლებლის წლიურ ანგარიშით. სასწავლებლის ზედამხედველმა ბ-ნმა მაჭრიკოვმა ძალიან ვრცელი ანგარიში მოახსენა დამსწრე საზოგადოებას. ანგარიშიდგან, სხვათა შორის, სჩანს, რომ ნივთიერი მხარე სასწავლებლისა გამგეობის თავმჯდომარისა—ქ-ნის სოფიო სტანისლავის ასულის განსევიჩისა და წევრთა მეცადინეობით საიმედოა მერმისისათვის. ანგარიშივე მოგვითხრობს, რომ სწავლის საქმეც კარგად არის წარმართული, რომ რუსულის ენის გასაძლიერებლად ყოველივე ღონე არის ნახმარი, აგრეთვე სამღთო სჯულს კარგად ასწავლიან. გარდა ამისა სასწავლებელს შენობის სივრცით, ჰაერის სიფაქიზით სამოსწავლო ოლქის დედათა სასწავლებლებში მეორე ადგილი სჭერია თურმე, როგორც სჩანს ანგარიშიდგან. ამ სასწავლებელში, სხვათა შორის, ქართულს ენასაც ასწავლიდნენ, ვიდრე პროგიმნაზიად გადაკეთდებოდა, რისთვისაც საკუთარი მასწავლებელი იყო ხოლმე. ამ რამდენისამე წლის წინად ქართული ენის მასწავლებელმა ბ-ნმა ქ. ა. ზარაფიშვილმა ბეჭდვით გამოაქვეყნა ქართულის ენის პროგრამმა, რომლიდგანაც სჩანდა, რომ ეს საგანი სასურველად იყო დაყენებული. ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკი ყოველ წლივ სწირავდა ათას მანეთს, რომ ქართულის ენის სწავლებისათვის მოეხმარებინათ. ანგარიშში ქართულის ენის სწავლებაზედ არაფერი არ იყო ნათქვამი. ისე-კი ვიცით, რომ ამ საგანს ცალკე მასწავლებელი აღარა ჰყავს და უთუოდ მისი მდგომარეობა შეიცვლებოდა.

ამ დღეს თელავის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთ ნება ეძლევათ ქართულ ენაზედ წაიკითხონ ჟამნობანი ლოცვისა, ცისკრისა და წირვისა. სასწავლებლის ზედამხედველ ბ-ნ სოგინის განკარგულებით ყველა სამღრთო მსახურება 13 და 14 იანვარს ქართულს ენაზედ იყო შესრულებული. 13-ს გალობდა მგალობელთა გუნდი რუსულად, 14-ს მთელი წირვის გალობა იგალობა გუნდმა ქართულად.

სასურველია, ამისთანა დღე სასწავლებლის წლიურს ცხოვრებაში რამდენიმე იყოს და არა ერთად ერთი. დარწმუნებულნი ვართ, რომ უმაღლესი ადგილობრივი სასულიერო მთავრობა უარს არ იტყვის, რომ მოსწავლენი ვარჯიშობდნენ საეკკლესიო წიგნების კითხვაში სამღრთო მსახურების დროს, ქართულადაც, თუ კი ჯეროვანის წესითა და რიგით იქმნება აღძრული ეს საკითხი და რიგიანად დასაბუთებულის თხოვნით მიჰმართავენ მთავრობას.

ნადიკვრელი

## წერილები ახალქალაქის მაზრიდან.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

### VI

19 დეკემბერს 1899 წ. შემდეგი სოფლები დაანგრია მიწის ძვრამ: 1) მერენია. ამ სოფელში ითვლებოდა 130 კომლი და 1000 სული ორთავე სქესისა.

მერენიაში არც ერთი სახლი არ გადარჩენილა დანგრევას. ასე გასინჯით, ქვისაგან აგებულმა ეკკლესიამაც ვერ გაუძლო მიწის ძვრას. ეკკლესიის ნანგრევებით სავსეა ეზო და სამრევლო სკოლა. ეკკლესიას შერჩენია მხოლოდ ტრაპეზი და ხის სამრეკლო. ესეც იმიტომ რომ ორ ბოძზეა ჩამოკიდებული ზარი და მხოლოდ ძალზედ დახრილა.

სოფ. მერენია სძევს სამსარის მთების კალთებზე. ამ სოფელში ნანგრევებიდგან ამოსთხარეს 161 გვამი, ამოუთხრელია კიდევ 5; დასახიჩრებული და ავადმყოფი არის 19 სული. მაშასადამე, მარტო ამ სოფლიდგან დარჩა უბინაოდ და უსაზრდოოდ არა ნაკლებ 800 სული ადამიანისა.

სხვილი და მოცადი საქონელი დაიღუპა 500 სული.

ს. მერენიაშივე მოხდა ერთი მეტის-მეტად შემაძრწუნებელი ამბავი. აქ დაიღუპა პატარძალი თვისი მეგობრებით. ჯვრის წერის გათავების შემდეგ ეკკლესიაში, პატარძალი მეგობრებით და სტუმრებით სახლში დაბრუნებულიყო, ნეფე-კი მეჯვარეებით სოფელში წასულიყო თვისის ნათლიის დასაპატიჟებლად. მიწა რომ შეინძრა, დედოფალი ხუთის მეგობარი ქალით სახლის ბოლოში ყოფილიყო, ყველას გამოესწრო გარეთ, მხოლოდ დედოფალი თვისის მეგობრებით ჰერმა დაიტანა და წუთისოფელს სამუდამოდ გამოეთხოვა. საცოდავი სადედოფლო ტანისამოსით დამარხეს მეგობარ ქალებთან ერთად საერთო სასაფლაოში.

გადარჩენოდა სიკვდილს აგრეთვე ქორწილში მყოფი მღვდელი. კარებთან ახლო მდგარიყო მიწის ძვრის დროს და საქორწილო ქადალდებსა სწერდა. ვიდრე მიწა ინძრეოდაო, გვიამბო მღვდელმა, მოისმა რაღაც არა ჩვეულებრივი გუგუნი, თითქოს ქარ-ბუქი ატგა უცბადაო. ხმაურობაზე თავი მაღლა ავილე ქაღალდებიდანო და კარისაკენ გავიწიეო გარეთ გამოსახედად, უნდა შემეტყო, რა ამბავიაო და სწორედ ამ დროს იგრიალა რაღამაც მეხივითა და მთელი სოფელი კი მტვრათა და ნანგრევებად იქცაო. მისი თორმეტის წლის შვილი ნეფეს გაჰყვა სოფელშიო და დღესაც არ იციან, გადარჩა ვაშვი, თუ სადმე ნანგრევებ ქვეშაა დამარხულიო.

მერენიაშივე მოჰხდა ერთი საზარელი სურათი. ნავაგინის ჯარის კაცთა შორის, რომელნიც ნანგრევებიდგან დახოცილ ხალხსა და საქონელსა სთხრიდნენ, ერია მერენიველივე გლეხი, ჯარის კაცი პუჩინოვი. ყველაზედ ერთგულად თურმე ეს საცოდავი მუშაობდა, რადგან იმედი ჰქონებია, ეგები ცოცხლები ამოვთხარო ჩემი დედ-მამანიო. ამოთხრით-კი ამოთხარა ღვიძლი დედა, მაგრამ საშინლად მიქექილი და დასახიჩრებული. საცოდავმა საკუთარისავე ხელით მიაბარა დედა იმავე მიწას, საიდანაც ამოსთხარა.

2) ს. იხთილა. ამ სოფელში სულ 70 კომლია, ორთავე სქესის მკვიდრი 725 სული ითვლებოდა. 65 სახლი სულ ერთიანად დაინგრა, 5 კი ნახევრადაა დაშლილი. დაუზარალდა სახლი აგრეთვე ადგილობრივ მებატონეს დ. ქანანოვს; ორი მისი წისქვილი სულ მთლადაა დაშლილი. ნანგრევებ ქვეშ დაიღუპა 8 ადამიანი, 15 სული დასახიჩრდა. საქონელი დაეღუპათ: 4 ცხენი და 111 სული სხვილი და მოცადი. მაშასადამე იხთილაში დარჩა უსახლ-კაროდ და უსაზრდოოდ თითქმის 700 სული ადამიანი.

ს. იხთილაში, სწორედ ზედ შუაგულ ადგილას, აშენებულია ძველი

# ფელეტონი

## ჰამალის მასლაათი

### შ უ რ ა

(სომხურიდამ)

შურა ერთი ოცის—ოც-და-ხუთის წლის დასანიშნავი ქალია.

თქვენ ყველანი იცნობთ, მაგრამ იქნება სახელი არ იცოდეთ. ნიშნობლივად რომ მოგახსენოთ, მაშინვე მიხვდებით.

ჯერ ესა, რომ იმისი ნამდვილი სახელი შუშანაა. მაგრამ შუშანის სახელი მოდნი არ არის, ამასთანვე შუშანას ძალიან მოსარეცხის, ან მკერავის სუნი სდის.

ამიტომაც ჩვენმა შუშანამ აიღო და სახელი შურად აქცია და ყველანი ასე ეძახიან. ტოლი ყმაწვილი ქალები-კი ერთ რამესაც უმატებენ და შუროჩკას ეძახიან.

არ იქნება და, რომ ბოდრუგებმა თავიანთში მოდნაზე არ ილაპარაკონ და არა თქვან, შუროჩკა მაია, დარაგაია მაია შუროჩკა.

აბა სად შუშანა და სად შურა, ან შუროჩკა? სულ ერთია, რომ აიღონ და ჩვენ ქალაქს ერთბაშათ პეტერბურგი ან პარიჟი დაარქვან, ჩვენ მშვენიერ ქუჩებსაც-კი მოუხდება, განა არ ვიცი.

მაგრამ ეგ რა ჩვენი საქმეა, მოდებს ხომ ჩვენ არ ვაჩენთ.

შუშანის ჩაცმა ნახეთ ქ თქვენვე იტყვით, რომ იმისი შუშანის დარქმევა მომაკვდინებელი ცოდვაა, მე და ჩემმა ღმერთმა.

აბრეშუმის შავ-ყვავილებიანი იუბკა, ღია ფერის კერასი, თალხი ბოაისა, ყვავილებით და ფრინველებით სავსე შლიაპა, მრეში ფერჩატკები, ასეთი მოპირებული, რომ ერთი საათი მარტო ჩაცმას მოუნდება.

ასე მუდამ დღე ნახავთ იმას ბულვარზედ, რამდენჯერაც გინდათ.

სიარული?.. ერთი სიარული აქვს, რომ ცნებას წაართმევს ადამიანს... ერთ ხელში სუმოჩკა, მეორეთი კალთა უჭირავს, მაგრამ დაჭერაც არის და დაჭერაც.

შუროჩკას ისე უჭირავს კალთა, რომ იტყვი კაცმა არცა სვას, არცა ჭამოს და იმის სიარულის თამაშას უყუროსო.

ჯერ მანამ მოდა იყო, კალთას გვერდიდამ იწევდა, ის მოდა გადავარდა, ახლა უკანიდამ იწევს.

აბა მორთულობის თამაში იქ ნახეთ: შავ კალთის ქვეშ ცეცხლის ფერ ერთ სხვა იუბკას პრიალ-პრიალი გააქვს, რომ, რომ ადამიანს თვალები აუჭრელდება. ხანდახანაც არ ვიცი როგორ ხდება ხოლმე, რომ კიდევ მრეში ტუფლები ან ბაშმაკები გამოუჩნდება და ცოტაც კიდევ შავი ჩულქები.

იერს მოგახსენებთ, რომ კაცს იამება.

მაშ არა და ნამდვილ შუშანას ან ხორიშანას სიარულს ევგანება.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ამათაც იმ გვარად უნდათ მოიქცნენ.

ერთიც ვნახოთ, მიდის ერთი, შუშანაა თუ ხორიშანა, ან იმათი ბიძის ქალი მათო, არ ვიცი; მაგრამ ისე გაწუმპლული, რომ მეტი აღარ ითქმის.

თავდახურული, ლეჩაქ გაწყალებული, ჰუჰყიან იუბკით, ცალ ფეხზე დაფხრეწილი ბაშმაკი, მეორეზედ დაჯღანულ კალოშით, ქუსლ გამოგლეჯილის წინდით,—ვისიმე გოგოა თუ მთხოვარას ცოლი, თქვენ შეიტყეთ,—მაგრამ ამასაც თავი ნაკლებად არ უნდა და სანამ კალთის ერთ მხარეს არ აიწევს და მეორეთი მიწას არ დაგვის, ვერ ისვენებს.

ერთი სხვა შეშუდი.

კიდევ თავ-დახურული, აბრეშუმის ახალ ტანისამოსით გაპრიალებული, ახალი ლეჩაქი თავზედ, თავსაკრავი, ყელ კისერი და მაჯები ოქროთი და თვლებით შექედილი, ასეთი გასიებულ-გაბერილი მიდის, თითქოს სავსე რუმბი იძროდესო; მაგრამ ესეც მოდას უკან არა რჩება და თავის წმიდა მოვალეობად სთვლის კალთის ერთი მხარე ხელითეჭიროს და მეორე მიწაზედ ათრიოს.

რო არ უხდება, რაც გინდა თქვით.

რამდენსაც ამათ სეირს ვუყურებ, ფიქრში მაიმუნი მომდის და წინ მიდგება.

მახლას!

ალბად ტალახსა და მტვერში მეტი ღონე არ არის, დედაკაცმა კალთები უნდა მოიკრიფოს, მაგრამ უტალახობასა და უმტვერობაშიაც რომ კალთებს იწევენ და მერე ისიც ყველანი ერთგვარად, დიდი თუ პატარა, მდიდარი, თუ მთხოვარა, თუ ლამაზი, თუ გონჯი, მართლათაც რომ ნამდვილი მაიმუნობაა.

არა რომ თითქოს ღმერთმა ადამიანს ხელი გაჭირვებაში სახმარად მისცა, და არა თუ კალთების ტყვეთ გასახდომად, მერე სწორეთ ისე, როგორც სხვები სჩადიან.

მოდაა, რას იზამ. კიდევ მადლობა ღმერთს, ზოგი ერთი შეგვხვდება შუროჩკას ტოლი ქალები, იმასავით საფრანგეთის ტანისამოსით ჩაცმული. მაგრამ იმათი ჭკუა და გონება არც მარტო ტანისამოსშია, არც სიარულში და არც თუ ხელების კალთების ტყვეთ ჩაგდებაში.

ამათ თავისი საქმე აქვთ და თავისს საქმის ფიქრში არიან. ზოგი სწავლაზე დადის, ზოგი გაკვეთილებზე და ზოგიც ალალ ხელობაზე, რომ თავის ალალი შრომით სხვასაც გამოადგეს და თავისთვისაც ლუკმა პური იშოვოს. ესენი არას გზით სხვას ხელს არ მიუშვერენ და ცხოვრებას, ჩაცმა-დახურვას და სიარულს არასოდეს მოდის ტყვედ არ გახდიან. მაგრამ სიტყვა ამაზედ არ არის ამ ჯერად. მივიდეთ კიდევ ჩვენს ნეჟნი-მაროჟნა შურასთან.

გარეთ ხომ ნახეთ, რა რიგათ დადის. შინ რას აკეთებსო? იკითხავთ.

— არაფერს.

— რითი ცხოვრობსო?

— ერთი ორიოდე შაური მამისაგან დარჩენილა და იმითი როგორც არის იოლად მიდიან ისიც და იმისი საწყალი დედაც. ერთის სიტყვით, მკვდარი ცოცხალს ინახავს.

ძალიან კარგი ადამიანია ეს დედაკაცი, კეთილი, ნამუსიანი, თავისს ჩრდილს მორიდებული, მაგრამ ძველებური დედაკაცია, თავ-დახურული და არც მოდის ჩაცმა იცის და არც მოდის კალთის აწევა.

ალბად ეს არის მიზეზი, რომ ხანდახან დედასთან რომ ბულვარზე გაივლის, შურა სულ წინ-წინ მირბის.

ბევრს ეუბნება ეს საწყალი დედა თავისს ქალს: შვილო ან შეჰკერე, ან გამოსჭერ, ან რამე ხელობა ისწავლე შენთვის; ან თუ არა, მალე გათხოვდი, თორემ შინ აგრე დამჭკნები და წყალ წასაღები დავრჩებითო.

მაგრამ მთქმელს გამგონი უნდა და შურას მოდაზე ჩაცმისა და მოდაზე სიარულის მეტი, სხვა შნო არა აქვს.

ქმრის შერთვა კი, დღეგრძელობა გაქვთ, ძალიან გულით უნდა, მაგრამ სად არის ისეთი კაცი, რომ შუროჩკას ქმრად ეკადრებოდეს. ვაჭრები ანგარიშიანი კაცები არიან და ისე ჰფიქრობენ, რომ შუროჩკა იმათ ხელს არ მისცემს.

სხვებს კი, ვისაც იმისი თხოვნა უნდა, ის არა ჰკადრულობს და ვინც თითონ იმას უნდა, ისინი ფულიანს ეძებენ.

მაშ შურას ბოლო რა არის, ან რა ეშველება?

იქნება თქვენ შეიტყოთ.

ჰამალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლილი ქვის ნაგები ქართული ეკკლესია. სახურავი აღარა აქვს. ეკკლესიიდან ჩამოცვივნულა 5—6 ქვა. გალავანი სულ დანგრეულა. გალავნის თლილ ქვებზე გამოხატულია ცხვრის თავები.

ამ ეკკლესიის მაგალითი ცხადად გვიმტკიცებს, რომ მაგარს ქვის შენობებს შესძლებია მიწის ძვრის ატანა, ხოლო უკიროდ აშენებულ მიწურ სახლებს-კი არა.—ხის შენობანი ხომ უფრო ნაკლებად დაზიანდებოდა.

მერენია და იხთილა დავათვალიერეთ 23 დეკემბერს საღამოს ხანს. საშინელს და დამაღონებელს სურათს წარმოადგენდა ნანგრევებად ქცეული სოფლები. სამარის მსგავსი სიჩუმით იყო მოცული იქაურობა. აღარ გვესმოდა არც ადამიანთა ლაპარაკი და ჟრიამული, არც საქონლის ბღავილი. ასე გაშინჯეთ, მოუსვენარი მამლების ყივილიც-კი არ მოისმოდა. ძაღლები ყეფით არ მოგვეგებნენ დაუპატიჟებელ სტუმრებს, საცოდავად დაეღუნათ თავები, კუდები ჩამოეშვათ და ისე დაესლასებდნენ. რაღა თქმა უნდა, რომ პირუტყვზე მომეტებულად ხალხი იყო დაღონებული და დაძმარებული. აჩრდილსავით დადიოდნენ ნანგრევებ შორის და გულ-დაწყვეტილნი, თვალ-ცრემლიანნი შეჰყურებდნენ თავიანთ სახლების ნანგრევებს, სადაც უდროვოდ დამარხულ იყო ყველა, რაც ახარებს კაცის გულსა და სულსა: ნათესავნი, ნივთები და საქონელი.

მიწის ძვრის პირველსავე დღეს გულ გახეთქილი ხალხი სრულიად მოშორდა სოფლებს და თავი დაანება. ჩვენ რომ მივედით, ცოტათი დამშვიდებული ხალხი დაბრუნებულიყო და სოფლის გარედ დაბინავებულიყ[illegible] თიბინათ ჰილობებისა და [illegible]ს კარვები, თოვლზე თივა წაეყარათ და დაბინავებულიყვნენ. რატომ სიცივით არ დაიხოცნენ, ან შიმშილით არ გასწყდნენ, ეხლაც ვერ გამიგია.

სანოვაგე სულ ერთიანად დაელუპათ მერენიელებს და იხთილელებს. ამბრებში ფქვილს ისე შერეოდა მიწა, რომ ერთი მუჭაც აღარ გამოირჩეოდა. ამას გარდა ზოგან სანოვაგის სიახლოვეს ადამიანის დამწვარი გვამი მოჰყოლოდა და განხრწნის შემდეგ სუნით გაეფუჭებინა. თონეები ჯავახეთში შიგ მიწურებში აქვთ, მიწის ძვრის დროს ბევრი შიგ გახურებულ თონეში ჩაცვივნულიყო და დამწვარიყო.

სამსარის მთიდან იხთილა და მერენია ისე კარგად სჩანს, როგორც ხელის გულზე გაშლილი რამე. მნელი სანახავი იყო ნანგრევებად ქცეული სოფლები, საცა 615 სული გატყავებული საქონლის მძოვრი ეყარა!—

3) ს. ბეჟანო. აქ იყო 121 კომლი კაცი. ექვსი სახლი გადარჩა, დანარჩენი ან სულ დაინგრა, ან სანახევროდ, ასე რომ შიგ ცხოვრება აღარ შეიძლება. ნანგრევებმა დაიტანა და დახოცა 45 სული, 20 დასახიჩრებულია. ბეჟანოში სულ 1000 სული მკვიდრია, მაშასადამე ულუკმაპუროდ და უბინაოდ დარჩა თითქმის 950 სული. რამდენი საქონელი დაელუპათ ბეჟანოელებს, ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი.

4) ს. დიდი სამსარი. ამ სოფელში იყო 47 სახლი, სულ დანგრეულა, დაიხოცა ხალხი 47. ამოსთხარეს ნანგრევებიდგან 41, დარჩა ამოუთხრელი 6. რამდენი სული გაუწყდათ სამსარელებს, ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი. ამ სოფელში დარჩა უბინაოდ და უსაზრდოოთ 430 სული.

5) ს. პატარა სამსარი. 50 სახლია, სულ დაინგრა. 28 ადამიანია დახოცილი, ამოსთხარეს 23, დარჩა ამოუთხრელი 5 სული. ათიც ავადმყოფია. სხვილი საქონელი დაელუპათ 100, ცხვარი 200. უბინაოდ დარჩა 472 სული ადამიანი.

ორთავ სამსარები გაშენებულია 8—10 ათასის ფუტის სიმაღლეზე, მისავალი გზა ზაფხულშიაც არ ვარგა და ზამთარში ხომ სწორედ ეშმაკის სავალია. დიდის გაჭირვებით ჩამოზიდეს ამ სოფლებიდგან დუხაბორებმა გადარჩენილი ხალხი და მათი ქონება. იხთილიდგან მერენიას რომ მივდიოდით, გზაში დუხაბორების მარხილები შემოგვეყარა. ერთმა მარხილმა მიიქცია ჩვენი ყურადღება. ესე 10—12 წლის გოგო სრულიად გაფიჩხებულიყო სიცივისაგან, ხელები და სახე ისე დალურჯებოდა, რომ ლილასა ჰგავდა. დაფლეთილი საბანი გადაჰხდოდა და მხოლოდ ფეხებსა და ქვედა ტანს უფარავდა. გადმოვხტით მარხილიდან, მივედით გოგოსთან, გაუსწორეთ საბანი და უბრძანეთ რომ მაგრად დაეჭირა ხელით საბნის წვერები. გავკვირდით, რომ გოგო საბნის დაჭერას ვერ ახერხებდა. ორთავ ხელებით ისე მაგრა მიეკრა გულზე ყვინჩილა, რომ სრულიად დავიწყებოდა საბანიცა და ყინვაც. უბძანეთ გადაეგდო ყვინჩილა, მაგრამ არას გზით არა შორდებოდა თავის საყვარელ ყვინჩილას. მეტი ჯანი არ იყო, ქედი მოვიხარეთ პატარა გოგოს მამლაყინწასადმი სიყვარულის წინაშე. ასე უცნაურადაა გაჩენილი ადამიანი! კაცმა ყველაფერი დაჰკარგოს—სახლი, კარი, საყვარელი ნათესავი, დედ-მამა, ოფლითა და ვაი ვაგლახით შეძენილი ქონება და ყველა ამას შემდეგ ყვინჩილაზე ზრუნავდეს და ჰფიქრობდეს, განა სასაცილო არ არის? თვალებზე ლაპალუპით გადმოსცვივდა მდუღარე ცრემლი, ყვინჩილას წართმევა რომ დავაპირეთ. ამის შემდეგ, რასაკვირველია, ყვინჩილას თავი დავანებეთ, მაგრამ გოგოსაც უშველეთ, საბანში კარგად გავახვიეთ, თბილი თავზე მოსახვევ შალით ისე მაგრად შეუკარით ბეჭები, მხრები და თავი საბნის შიგ ჩაყოლებით, რომ ვეღარა სიცივე ვეღარ შეატანდა.

6) ს. ბალხო. 4 იანვარს აქ დაინგრა 50 სახლი. ხალხი არ დაღუპულა. გაუწყდათ მხოლოდ საქონელი, 200 სული. უბინაოდ და უსაზრდოოთ დარჩა 450 სული.

7) ს. წითელი საყდარი. (ბორჯომის საპოქაულო) დაინგრა 10 სახლი, ერთი ყმაწვილი დაუტანია, აქ ასი სული დარჩა უბინაოდ და უსაზრდოოთ.

8) ს. მალითი, ესეც ბორჯომის საპოქაულოში. სახლები ან სულ ერთიანად დაინგრა, ან სანახევროდ, რომლებშიაც ცხოვრება შეუძლებელია. უბინაოდ დარჩა 150 სული.

დაზარალდა კიდევ შემდეგი სოფლები: აგანა, კაქიო, გოდოლარი, არაგვა, აზარვეთი, აბული, მაჯადია, ალავერდი, ორჯა, თორიო და ბარალეთი. ამ სოფელში დაინგრა 1 იანვარს 30 სახლი; ხალხი არ დაღუპულა. ბარალეთში თითქმის 300 სული დარჩა უბინაოდ და უსაზრდოოდ.

ზარალი რომ ავნუსხოთ, აღმოჩნდება, რომ სულ სამასამდე სული ადამიანი დაიღუპა მიწის ძვრისაგან, ავადაა 53 სული, დაინგრა 544 სახლი, დარჩა უბინაოდ და უსაზრდოოდ 4.350 სული, საქონელი გაწყვეტილა 2400 სული.

აქ მოყვანილი ცნობანი საჭიროებს შესწორებას, რადგან ბევრს სოფელს ვერ მიუდექით. ადგილობრივი კომიტეტები შეუდგა დაწვრილებითი ცნობების შეკრებას და როცა ეს მუშაობა გათავდება, მხოლოდ მაშინ გვექნება საშუალება ნამდვილი და სწორი ცნობანი მივაწოდოთ მკითხველს.

ა. ყ—ძე

## წერილი ხევიდგან

ვის არ გაუგონია სად. ყაზბეგი და ამავე სახელით ყაზბეგის მთა, რომლის სანახავად ორას-სამასი უცხოქვეყნელი მაინც ესტუმრება ხევს ყოველ წელიწადს. მართლადაც საუცხოვო სანახავია ყაზბეგის მთა, მეტადრე მოწმენდილს დარში, როცა ის ასის წლის თეთრ-წვერიან მოხუცსავით გადმოსცქერის ამაყად მთელს არე მარეს. მაყურებლებად უნდა იყვნენ უცხო ქვეყნელები, თორემ ქართველებს ამისათვის სადა სცალიანთ. ქართველები, რამდენადაც თვალი მიდევნებია, ყაზბეგის ბუფეტში დანაყრებულნი, ეჩქარებიან თავიანთ გზას და, თუ ოდესმე გაიხედეს ყაზბეგის მთისაკენ, ისიც უცხო-ქვეყნელების მიბაძვით. მეტის მეტად ცნობის მოყვარეობას მოკლებული უნდა იყოს კაცი, რომ ასეთმა სანახაობამ არ მიიზიდოს!. მაგრამ მოგვეტევება, რადგან ეს მთა საქართველოშია და ქართველს საქართველოსი არა აინტერესებს-რა. მე შემთხვევა მქონია გადამეთვალიერებინა გველეთში, საიდგანაც ყაზბეგის მთაზე ასასვლელი გზა მიდის, ის წიგნი, სადაც ყაზ. მთის მნახველების სახელი და გვარი იწერება, მაგრამ ასს უცხოელში ხუთს ქართველის გვარს ვერ შეხვდებით.

ყაზბეგის სადგურიდგან ნახევარ ვერსის მანძილზედ არის ეკკლესია და ამ ეკკლესიის გალავანში დასაფლავებულია გვამი ჩვენის უკვდავის მწერლის ალექსანდრე ყაზბეგისა, რომლისათვის თავისის ხარჯით ძეგლი დაუდგამს თავადს კონსტანტინე ივანესძეს მუხრან-ბატონს. მაგრამ რა ძეგლი? უშნოდ დაყუდებული ერთი დიდი ქვა, რომელიც რიგიანად გათლილიც არ არის. ქვაზედ სურათი არის ამოჭრილი, მაგრამ ის ალ. ყაზბეგს სრულიად არ წააგავს. ქვაზედ არავითარი წარწერა არ არის, ვინ ასაფლავია და რა კაცი იყო იქ დასაფლავებული. ამ ძეგლის გვერდით დასაფლავებულია ერთი სხვა ყაზბეგი, რომელიც კაცის ხელით არის მკვდარი და წარწერაც შესაფერი აქვს. მოდიან უცხო-ქვეყნელები, კითხულობენ და ჰგონიათ, რომ ვითომც ალექსანდრე ყაზბეგი სხვას ვისმეს მოეკლას. ერთმა, რომელსაც წაკითხვის დროს მივუსწარი, კიდევაც მითხრა, რომ კარგი სამსახური გაგიწევიათ თქვენის მწერლისათვის, რომ თქვენვე მოგიკლავთო. ის კაცი, როგორც იყო დავაჯერე, რომ ის სხვა ყაზბეგია და არა მწერალი მეთქი. თავადს მუხრან-ბატონს სთხოვეს, რომ „მადლს მარილიც მოაყარეთ", და ეს ძეგლი ბარემ გაამშვენიერეო. მან აღუთქვა მთხოვნელთ, რომ უნდა დავშალო და ახალი ძეგლი გავაკეთოო. კარგი იქმნება, რომ ჩქარა ვეღირსებოდეთ ამას.

სოფელ ყაზბეგში არსებობს ერთი სასწავლებელი მართლ მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისა. მოსწავლეთა რიცხვი საკმაოა. მაგრამ რა გამოვიდა! ისწავლიან წერა-კითხვას და, როცა გავლენ სკოლიდგან, თუ სადმე მიაბარეს სასწავლებელში სხვაგან, ხომ კარგი, თორემ წერა კითხვას თან და თან ივიწყებენ. მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ არა აქვთ გონების სავარჯიშოდ წიგნები და მოპოვებაც ძნელია, რადგანაც ქალაქები შორს არის ამ სოფლიდგან. საქართველოს სხვა კუთხეებში სკოლებიც ხშირია და წიგნთ-საცავები ბევრგან არსებობს. აქ-კი, ჩვენს ჩამორჩენილს ხევში, ას ორმოც-და-ათი ვერსის სივრცეზედ, ერთი სკოლაა დაარსებული და მეორეც ეხლა არსდება ინსპექტორის მომინაიშვილის მეცადინეობით. წიგნთ-საცავის ხსენებაც არ არის აქ. ჩვენს სკოლასთან არსებობს წიგნთ-საცავი, მაგრამ ის მეტად ღარიბია: გარდა ყაზბეგის ნაწერების, ძველის წლის „კვალი"-ს ნომრებისა და რამდენიმე წიგნაკისა, არა მოიპოვება რა. ასეთი მცირე რიცხვი წიგნებისა ვერ აკმაყოფილებს მკითხველების სურვილს, რადგანაც წერა-კითხვის მცოდნე საკმაოდ ბევრია. წარსულს წელს გვქონდა გამოწერილი ორი ჟურნალი და ერთი გაზეთი. იმათთვისაც ორ-ორ შაურობით დიდის ვაი-ვაგლახით შევაგროვეთ ფული. წლეულს-კი „ჯეჯილი", „კვალი" და „ივერია" შემდეგის წლის ფულის შეუტანლობის გამო ყველა დაგვემშვიდობა დეკემბრის დამლევს, ალბად გაიგეს ჩვენი სიღარიბე. ამ გვარად წრეულს სრულიად იმედ-გარდაწყვეტილები ვართ, რადგანაც ფულის შეგროვება მოუხერხებელია. ხალხი ჯერ იმდენად არ განვითარებულა, რომ ჟურნალ-გაზეთების და წიგნების შეძენა არსებით საგნად გარდაქცეოდეს. ამისათვის ვისაც ჩამორჩენილი ხევის სვე-ბედი გაუთვალისწინებია, მდაბიო ხალხისთვის გული შესტკივა და იმათი მომავალი აინტერესებს, ვთხოვ ყველას და, იმედია, ამ საქმისათვის არც ფულსა და არც წიგნებს არ დაიშურებენ შეძლებისა და კვალად. იმედია, მოიგონებენ იმ მწერლის სამშობლოს, რომელმაც თავისს ნაწარმოებით ჩვენი ლიტერატურა გაამდიდრა. უკანასკნელ კიდევ მივმართავ და ვთხოვ ჩვენს რედაქციებს, მწერლებს, წიგნების გამომცემლებს და იმათაც, ვისაც სახლში მეტი წიგნი მოეპოვება, მოგვაწოდონ.

ადრესი. На станцію Казбекъ, по военно гр. дорогѣ, Учителю Алек. Квачадзе.

მასწავლებელი ალექსანდრე კვაჭაძე

## წერილი ბარის-ოსეთიდგან

კავკავის ეპარქიაში ოსები დღეს საკმაოდ გაღვიძებულნი არიან წავლისათვის. ეს უნდა მივაწეროთ აწ განსვენებულს ეპისკოპოსს იოსებს, რომელსაც დიდი ღვაწლი და შრომა მიუძღვის ოსების განათლების საქმეში. განსვენებულმა ეპისკოპოსმა იოსებმა სწორედ წმ. მოციქულებრივი ნაყოფი დასტოვა ოსებში. ეს თითონ ოსებსაც ესმით, მაგრამ დღემდე აზრადაც არავის მოსვლია, რომ რითიმე მოეგონებინათ ეს მათთვის დაუვიწყარი მღვდელ-მთავარი და პატივი ეცათ. დღეს-კი კავკავისა და მოზდოკის ეპისკოპოსმა ვლადიმერმა გამოსცა ბრძანება შემდეგის შინაარსისა: რათა საუკუნოდ დაუვიწყარ იყოს ხსენება აწ განსვენებულის კავკავის ეპისკოპოსის იოსებისა მის მოციქულებრივ ნამსახურ ეპარქიაში, გარდავწყვიტე გამოიცეს წიგნად ცხოვრება და მოღვაწეობა მისი და დაარსებულ იქმნას მისავე სახელობაზედ ერთი სტიპენდია კავკავის სასულიერო სასწავლებელში.

წიგნის შესადგენად, რასაკვირველია, საჭიროა ცნობები განსვენებულ ეპისკოპოსის იოსების ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ. მომეტებულად საინტერესოა მისი არხიმანდრიტობის დროს მოქმედება. ამიტომ ყოვლად-სამღვდელო ვლადიმერი ყველასა სთხოვს, ვინც-კი რამე იცის განსვენებულის ეპისკოპოსის შესახებ, მოაწოდონ „კავკავის ეპარქიის უწყების" რედაქციას. სტიპენდიის დასაარსებლად ყოვლად სამღვდელო ვლადიმერს განზრახვა აქვს ხელის მოწერა გამართოს თავის ეპარქიაში. დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოშიაც მოიპოვებიან ისეთნი, რომელთაც უმსახურნიათ განსვენებულ ეპისკოპოსის იოსების ხელში და მისი პირადი ცნობაც ექმნებათ. იმედია, არ დაიზარებენ და მოაწვდიან ყოველგვარ ცნობას ან ყოვლად სამღვდელო კავკავის და მოზდოკის ეპისკოპოსის ვლადიმერის სახელზედ, და ან „კავკავის საეპარქიო უწყების" რედაქციას.

ქართველი ოსებში

# უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.**

გაზეთ „Times"-ში საყურადღებო კორესპონდენციაა დაბეჭდილი კაპშტადტიდგან. კორესპონდენტი იუწყება: ინგლისის ადგილობრივი მოხელენი დიდს ფიქრსა და საგრძნობელს მიეცნენ იმის გამო, რომ კაპშტადტის ახალშენის ჰოლანდიელთა მოძრაობა და უკმაყოფილება დღითი დღე იზრდებაო. ჰოლანდიელებმა რომ მოინდომონ, მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენებენ ინგლისის ჯარს. საქმე ის არის, რომ ბრძოლის ველზედ მყოფ ინგლისის ჯარებს სურსათი და სხვა საჭირო ნივთები ეგზავნებათ რკინის გზით კაპშტადტის, პორტ-ელისაბედის და ისტ-ლონდონის ნავთ-სადგურიდგან. ჰოლანდიელებმა რომ ამ რკინის გზების ლიანდაგები გაუჭრან, მაშინ ჯარი სრულიად მოწყვეტილი იქმნება ნავთ-სადგურებს, და მას ვეღარც სურსათს მიაწვდიან და ვეღარც სხვა საჭირო რამესაო. ეს კიდევ არაფერი,—განაგრძობს კორესპონდენტი,—ყველა ჰოლანდიელნი რომ აჯანყდნენ, ჯარმა ჩრდილოეთ კაპშტადტიდგან უეჭველად ნავთ-სადგურისაკენ უნდა დაიწიოს და ხელ ახლა შეუდგეს თავისს ახალშენების დაპყრობასაო.

— როგორც გაზეთები იუწყებიან, ომის დაწყებიდგან დღემდე ბურების მხრივ მოკლულ იქმნა 212 კაცი; დაჭრილია 582, აქედგან 90 კაცი უკვე მორჩენილა და უკანვე ბრძოლის ველზედ დაბრუნებულა. ტყვეთ ინგლისელებს წაუყვანიათ სულ 200 ბური. ამ რიგად ბურების მხრივ მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვედ წაყვანილთა რიცხვი 1000 კაცს არ აღემატება. ინგლისელების ზარალთან შედარებით ეს თითქმის არაფერია. მარტო მოკლულია ინგლისელების მხრივ 3000 კაცზედ მეტი, დაჭრილიც ამდენივე იქმნება, 2000 კაცამდეც ტყვედ წაიყვანეს, ასე რომ ინგლისის ჯარს სულ 8000 კაცამდე მოაკლდა.

—

**ჩინეთი.** როგორც მკითხველებმა დეპეშებიდგან უკვე უწყიან, ჩინეთის იმპერატორი კუან-სუ ტახტიდგან გადადგა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, დედოფალმა ჩინეთისამ გადააყენა. იმასაც იუწყებოდნენ, რომ იმპერატორმა თავი მოიკლაო, მაგრამ გუშინდელი დეპეშა ამბობს, რომ ეს ხმა არა მართლდებაო. ასე თუ ისე ჩინეთის იმპერატრიცას მემკვიდრე კიდეც დაუნიშნია. ახალი იმპერატორი 9 წლის ბავშვი, სახელად პო ჩინგი ჰქვიან. იგი შვილია პრინც ტუანისა, ხოლო ეს უკანასკნელი—შვილის-შვილია იმპერატორის ტაო-კვანგისა. ამბობენ, რომ ახალის იმპერატორის მამა ტუანი მრავალ საიდუმლო საზოგადოების მეთაური და დამაარსებელიაო.

## დამოკვრილი

დედაკაცი და ქაჯი წონაში თანასწორნი მოდიან.

რუსული ანდაზა

***

კეთილ მომღვარ იგი არს, ვინცა, ვითარცა ლამპარი წუგდიადსა შინა, ნათობს და ნათელს ჰფენს სამრეკლოსა თვისსა.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრებილი ამბები)

ჟურნალ „Contemporary Review“-ში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი ექიმის გუტჩისონისა. ექიმი ამტკიცებს, რომ პირუტყვებში, ისევე როგორც ადამიანებში, ძალიან არის განვითარებული გრძნობა ვალდებულობისა, მოვალეობისაო. პირუტყვებმა ამას გარდა სინანულიც და სირცხვილიც იციანო. უფრო ხშირად-კი პირუტყვებს შორის ალტრუისტულ გრძნობას შეჰხვდებით: ნათესავის, მეზობლის სიყვარული მათში ძალიან არის განვითარებული. „ერთხელ მინდორში,—ამბობს გუტჩისონი,—სძოვდა მთელი ნახირი ძროხებისა. ერთ ძროხას ხბო წავართვით, იმ წუთსავე მთელი ნახირი ბღავილით და ხმაურობით უკან გამოგვედევნაო“. პირუტყვმა, იმავე ექიმის აზრით, სუსტის პატივისცემაც იცის. ხვადი ძაღლი, მაგალითად, იშვიათად უკბენს და ჩხუბს დაუწყებს ძუ ძაღლს. ყველამ უწყის, რომ ძაღლებს კატები ძალიან ეჯავრებათ. ძაღლმა თუ კატა დაინახა, არ შეიძლება, რომ ჩხუბი არ დაუწყოს, მაგრამ იგივე ძაღლი არასოდეს არავითარ ვნებას არ მიაყენებს თურმე კატის კნუტებს.

***

